



მეატრი



საყოველ-კვირობა ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

22 დეკემბერს

გ ა მ ო ო ც ე მ ა

№ 18

კვირაობით

1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა ან მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შუბრა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакція „Театръ“.

ამ ნომერთან ხელის-მომწერლებს ეგზავნებათ სერგეი მესხის სურათი.

საყოველ-კვირობა ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მუდრე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერათვის ღირს სუთი (5) მანეთი ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი სხვა ვადით ხელის მოწერა ან მიიღება. მომავალ 1886 წლიდან ატაკი წერიმთლი დამოუკიდებელ მონაწილეობას მიიღებს. ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვარსს, 22 დეკემბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ქ ა მ ლ ე ტ ი

დანიის პრინცი


ტრაგედია 5 მოქ., თხზ. ვ. შექსპირისა თარგ., ა. შურცელაძისა.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი

ქვირას, 15-ს დეკემბერს ქართულმა დასმა ოსტროვსკის ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ზზა დაკარგული ცხოვარნი“ წარმოადგინა. საერთოდ, ვისაც კი ერთი ფურცელიც არის წაუკითხავს რუსული დრამატული ლიტერატურიდან, უეკველია, პირველადვე ამ ნიჭიერს დრამატურგს შეხედებოდა, რომელსაც ამ ასპარეზზედ მთელს რუსეთში პირველი ფართო აღიანი უჭირავს. მს განსლავთ ის ფოტოგრაფი, რომელიც ნათლად და ცოცხლად გვინახავს ყოველ გვარს ტიპს და რომელს სფერასაც იგი ეკუთვნის. მტკვენ თვალწინ გიდგათ, რომელიმე «პამპიდურია», ან მოარ-მიყე ახალ-ვაზდა კაცი, რომლის ცხოვრების საგანს




ქართული

ცქრიალა ქალთან აღერსობა შეადგენს, ამ გვარ პირთ თქვენ ბევრს იცნობთ, იქნება წარმოდგენის დროს გვერდითაც გიზისთ და მეგობრულს მუსიაფში ხართ, მაგრამ იქამდისინ ვერ გავიცენიათ და ჯეროვანი ანალიზი არ გიქნიათ, რომ სრულიად გამოგეცნოთ იმისი შინაგანი მიმართულებანი. აი ეს თხზულება შენში ჰბადავს კრიტიკას, რომლის საშუალებითაც ანალოგიას უკეთებ მთელს საზოგადოებას და აგრეთვე თვითეულს ინდივიდუმს. აქ მაცქერალთა მოვალეობა ორს ნაწილად იყოფა: იგი ირონიულად დასცინის თავის წინ მდგომიარე ტიპს და იმავე დროს გულის სიღრმეობაში სხვა და სხვა გვარად შეფერილი მწუხარებანი ისადგურებენ, რომელნიც თეატრიდგან გამოსვლის შემდეგ, ხან ერთხედ უთითებ და ხან მეორეხედ, რომ ეს პირი იმ ტიპთაგანიო და ჯეროვანს უურადლებას აქცევ იმის ცხოვრების მიმდინარეობას. აი ამ თხზულებაში ერთი ცხოვრების სურათია გამოკრეფილი, რომელშიაც ორ-სამ ნაირს მიღრეკილების და მიმართულების ხასიათის მქონი საზოგადოებისაგან შესდგება. აქ თქვენა ხედვით ხორციითაც და სულითაც (პ. მოხევე) ლატაკს ბარონს პამპადურს, რომელიც მთელი დანარჩენი პამპადურების წარმომადგენელია.

მს პირი სრულიად ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნის, იმის ძარღვებში სისხლის მოძრაობა შემდგარა და მხოლოდ მაშინაღურიმოძრაობა-ლა აქვს, ამისი მეუღლე ბარონესა ლიდია (ქ. პნდრონიკაშვილისა), რომელიც ბებერი ხარისით, ახალ-გაზდა კაცებს დასდევს და როგორათაც თვითონ აქვს ყოველივე პატიოსანი ღირსებანი აყრილნი აგრეთვე თავის წყალობით სხვა-საც აუბედურებს, მაგალითად პოეტი ვიქტორის (პლექსევი-მესხიევი) ცოლს, რომელთ შუაშიაც განხეთქილება ვარდება. მიქტორი დროთა ვითარების თანამომდინარე პოეტი, რომელიც იღვწის, შრომობს, მაგრამ ჯერ თავის ნიჭიერებაში, თვითონაც დარწმუნებული არ არის და გულ-ახსნით ვერ აცხადებს თავის გვარს ლიტერატურულს ასპარეზზედ, ესე იგი მიქტორი ნაფიცთ მწერალთაგანი არ არის, როგორათაც ჩვენში. ლუბა ცოლ-ქმობითი განხეთქილების შემდეგ—ცდილობს აჩვენოს თავის ქმარს, შურს გიგებო, მაგრამ თავის სინიდისს კი შეურყევლად ატარებს, თუმცა ჭკუაზედ კი შლის ცერცეტა ახალ-გაზდა მოარშიყე ფრანტს თავ. ძირგიზოვს (მ. აბაშიძე) და იქამდისინ მიჰყავს საბრალო, რამ თვითონვე დასცინის თავის სისულელეს და პანჩურ ამოკრული შინისკენ მიბრძანდება. რამოდენადაც ეს პიესა ნიჭიერად არის დაწერილი, იმოდენათვე უხეირო

ნათარგმნია და ზედაც რომ ის მოთხუშენი დაუფრტოთ, ერთი სიტყვით ნამდვილი ხელოვნების წამებაა; მაგრამ არ შეგვიძლიან ბ. აბაშიძეც ამ კატეგორიას მივაწეროთ, თუმცა კი იმანაც სუსტად იცოდა როლი. რაც დანარჩენ შეეხებათ ხომ მთელი წარმოდგენა სულ სუფლიორს უყურებდენ და თუ არ ის ნიჭიერი პირი სრულიად სცენიდგან გასარეკნი იყვნენ, გარდა ბ. მაქსიმისისა, რომელიც მამლის ყინ-წასავით ხან აიფხორებოდა და ხან თითქოს ყელში წაუჭირეს ისე ხრიტინებდა. მრთი სიტყვით, თუ არ კიდევ ბ. აბაშიძე სრულებით მაცქერალთ დაეძინებოდათ, მაგრამ კიდევ იმის გამოსვლაზედ გამოფხიზლდებოდენ ხოლმე. ამ უკანასკნელს წარმოდგენაზედ მეტად ცოტა ხალხი დაესწრო.

ა. კახთელი.



სერგეი მესხი 71

(სურათი)

სერგეი მესხი ერთი ღარიბი აზნაური ჩინოვნიკის შვილი იყო. ის 1844 წ. ოქტომბრის თორმეტს იმერეთს, ~~ქუბის~~ სოფელს რიონში (ჭუთაისიდან 7 ვერსტზე) დაიბადა. პირველი სწავლა ქართული წერაკითხვისა დედისაგანა ჰქონდა ნასწავლი, 1856 წ. იანვრის შეიღს—ათის წლისა ჭუთაისის გემნაზიაში მისცეს. მესამედე კლასიდან მისი კარგის სწავლისა და ბეჯითობისთვის სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა. 1863 წ. იენისში—18 წლისამ გემნაზია შეასრულა და სახელმწიფო ხარჯით პეტერბურგის უნივერსიტეტში ძავკასიის სტიპენდიით იქმნა დანიშნული; ოთხს წელიწადზე—1867 ბუნებითი საგნების ფაკულტეტი შეასრულა და აგვისტოს ნამდვილის სტუდენტის ხარისხით ჭუთაისში დაბრუნდა. ჩამოსვლის რამდენიმე თვის განმავლობაში სახელმწიფო ქონებათა გამგებლობაში სეკრეტრის თანამდებობას ასრულებდა და შემდეგ „ღროების“ რედაქტორად იყო მიწვეული, რომელსაც თოთხმეტი წელიწადი მართავდა.

თუ ამ ხანში რამდენი შრომა და ჯაფა შეხვდა, რამდენი სიძნელე და დაბრკოლება უნდა აეცილებინა, ამის დაწვრილებით თქმა შორს წაგვიყვანდა, არც ალაგი გვაძლევს ნებას და არც დაწვრილებითი აღწერის სურვილი გვქონია, ჩვენ მხოლოდ სტატისტიკურს ცნობებს ჩამოვთვლით ამ ყოველად პატივ-საცემს პირზე, და დაწვრილებანი კი მისი ბიოგრაფისთვის მიგინდვია, მაგრამ არ შეგვიძლიან, ისე



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ს.ს. შიშკი (1844 - 1883)

(1844 - 1883 წ.)

ეროვნული
21 ივნისი 1933

თი უგრძობლობა გამოვიჩინოთ და ორიოდ სიტყვა არ ჩაუბრუნოთ ამ სტატისტიკურს ცნობებს.

წარმოიდგინეთ ქაბუკი ჩაბმული იმ საქმელო უღელში, როგორც რედაქტორობაა, — მერე რა დროს, მაშინ როდესაც ერთი რიგიანი ზურგის მიმცემი, მხარის დამჭერი არა ჰყვანდა და თვრამეტის წლის განმავლობაში მთელი გაზეთის ფურცლების ავსება, კორექტურის სწორება, შიში, რომ ვაი თუ ქალაქის ფული დამაკლდესო, ზრუნვა, რითი მიიზიდოს ხალხი, რითი გაუხსნას კითხვის სურვილი ერთმა კაცმა, ერთმა მუშაკმა და დრო-გამოშვებით მომუშავემ კი არა, ყოველ დღეს, ყოველ საათს და წუთს ამ ჯაფაში მყოფმა, წარმოიდგინეთ და მაშინ გაიგებთ რა მაგარი აგებულებისა, რა სულის ძალით უნდა ყოფილიყო სავსე განსვენებული სერგეი მესხი, რომ ესენი აესრულებინა.

ბქეთ სხვა და სხვა გარემოების ხელის შეშლა, იქით კარს-მოდგომილი ასოს ამწყობები და სხვა ფულის მოხრეწვები და ყველას დაკმაყოფილება, თავის სახლის უკანასკნელი ნივთის დაგირავება ამ დაკმაყოფილებისთვის; თავის დამცირება, გულში ანთებულის სიბრაზის შეკავება, ამდენი ვაი-ვაგლახის მოთმინებით ატანა... და მაინც კიდევ არა სტოვებდა, სულით არ ეცემოდა და არცა დაეცა, ვიდრე ფიზიკურმა მოშლამ თავი არ დაანებებინა ამ თავის საყვარელს შრომას.

შუკანასკნელ წუთამდის არ დაცემულა სულით, მაინც კიდევ შრომის გაგრძელების იმედი ჰქონდა, იმ შრომისა, რომელმაც დააუძლურა, ტანში მოშალა და სამარის კარამდე მიიყვანა და რომელიც მატერიალურის მხრით არაფრით არ აჯილდოებდა.

ჰკითხეთ, რომელიც ერთხელაც არის დალაპარაკებია, შედით სტამბაში და თვით ამწყობებისაგან, ამ გაუნათლებელი ხალხისაგან გაიგონებთ ამ რედაქტორის იდეალის ლოცვას... მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ სტატისტიკურს ცნობებს.

1883 წლის დამდეგიდან ხველება, სისუსტე და მკლავების ხუთვა თან-და-თან გაუძლიერდა, შემდეგ სრულიად ვეღარ შეიძლო მუშაობა. აპრილის 29-დამ იძულებული იყო გაზეთის გამოცემა შეეყენებინა და მაისის 12-ს მუთაისს გაემგზავრა. იენისის დამდეგს ობილისის ექიმების რჩევით აბასთუმანს წავიდა. აბასთუმანში 20 იელისამდე ზეზე იყო, თუმცა მკლავისა და ბეჭის ტკივილები არ შესდგომია. ექიმების აზრით მისი ავად-ყოფობა ანევრიზმი იყო, ხუთის წლის წინედ დამართვიყო და მისი მორჩენა აღარ შეიძლებოდა. 20 იელის ლოგინში ჩაწვა, რადგანაც ხველება

და ნერწყვთან სისხლის ამოსვლა დაწყებულა და წყვეტულა ნისის, ნახალილევს ძალიან წამოახველა და საშინელი ტკივილები იგრძნო. ბულში რალაცა გამიქდაო, წამოიძახა. მეორე წამოხვევლებზე, მეოთხე საათის ნახევარზე თავისი ტანჯული სული უფალს ჩააბარა.


აბასთუმნიდამ ცხედარი მუთაისს წაიღეს, სადაც მერე 24 იელისს წირვა და პანაშვიდი გადაუხადეს. მეორე დღეს, 25-ს მიასენეს რიონს და იქ დაასაუღლავეს. შველგან საზოგადოება პატივისცემით მიეგება, მრავალი გვირგვინები მიაგება და რამდენიმე გულ-მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა.

(ასე კი ვათავდა ამ პატივცემული გვამის სილოცებლე და მოღვაწეობა.

საუკუნოდ იყავნ სახსენებელი მისი!)

Z.

მგოსანი



ალალი ხევის გაღმა გამოღმა ბრძობის ამრევი ისმის ჩანგის ხმა... ნეტავ ვინ არის ის გულ-მოკლული, რომ ჩანგს დაჰკენისის შეშფოთებული?

* *

სიმები ჟღერენ და მათში ვნება ჟრმა მგოსანისა დაიხატება... ნეტავ ბეჩავს რა წაჰკიდებია, ბული ესრე რად უწამებია?

* *

ნუ თუ იცნო მან სოფლის მუხთლობა მისი ავი ზნე და ბინძურობა? ანუ საბრალოს ტრფობის ისრები ბულსა ეტყორცენ; ჰმატეს წყლულები?

* *

ნუ თუ ამ ქვეყნად იმას ყოველი ამოსწყვეტია ნუგეშ მცემელი, და სიჭაბუკის ნათელ იმედებს შეურაცხყოფს და აღარ იგონებს?

* *

პასუხს ნუ ელი. ჩანგის სიმები ჟღერენ სეველის ხმებს მომჯადოები და ჩაგძახიან, რომ მგოსნის გული ბნელეთია და თვით ზღვა უფსკრული.

ა. ალისუბნელი.

ზამთარი

ტურფა ზაფხული მეფობდა,
მთა-ბარით ამწვანებული,
ქველას სევ-ბედი უდიმდა,
შხტოდათ, უღელდათ გული.

ძაცს საარშიყოდ, სატრფობლად
სისხლს უღუღებდა ძარღვებში,
და გაისმოდა ტკბილს ღზინთან
ტკბილი ღუღუკი ბაღებში.

წამოეპარა ქურდულად
ბულ-ჩახურული ზამთარი...
და მოგვაყარა ანაზდად
მოვლი, ყინვა და ავღარი.

ძნელია, ძნელი—ყინვები,
ბუნება გულზედ კაცს გგვრის ჯავრს...
მაგრამ წყეული სიცივე
ღიღსა ხანს ველარ დაგვტანჯავს!..

ს. ს.

გუპღნი თ. აკ. წ.

ბულბულის მტერი გველია,
ვარდას უწამლავს შხამითა,
მაგრამ ის იმით არ შიშობს,
ზედ დასტრფის ღღე და ღამითა.

* *

პოეტსა მღერას ვერ უშლის
მტერი ავ თვალთ მზღვერაფი,
მერცა მუქარა ვისიმე
სოფიან შგლოურად მღრენაფი!..

მ...

თეატრი და მსახიობნი.

ძველა, საშუალო და ახალი დროისა
(შემდეგი *)

ათას სამას ოც-და-ერთს, პირველად გამოაცხადეს აფიშებზედ ავტორის სახელი (Pyrame et Thisbe) თხზ. მერესი; მხოლოდ მსახიობის სახელი და

*) იხილეთ „თეატრი“ № 15.

გვარი კი XVIII-ე საუკუნის დამლუქვე „მწიფე ხე“-ს თეატრი და კონკურენცია დაიბადა «olu Maraisz»-ის და ბურგანდიელის დასების შორის; ბურგუნდიელს თეატრში დედოფლის ტრუზა თამაშობდა ათას სამას ოცდა ხუთში ბელღეროზის დირექტორობით, მხოლოდ «olu Maraisz»-ის თეატრში კი ბალღემან ღერო იყო. უკანასკნელის სიტყვით, ეს ზემოყვანილი პირნი მსახიობნი ყოფილან და არა მცირედი ადგილი სჭერიათ თავიანთ თანამედროვე თეატრალურს ხელოვნებაში. შერო პროგრესიულად დაიწყო მიმდინარეობა, როდესაც გრაფ ბელანმა ხელი მოჰკიდა. ბრაფი უკვეთავდა სხვა-და-სხვა დრამატიულს თხზულებებს მონდარს, რომელსაც პიე ების წერის ნიჭიცა ჰქონდა. აგრეთვე შესანიშნავი მსახიობნი იყვნენ ლენური და ამისი ცოლი. ეს ორივე ზემოყვანილი მსახიობნი კომიკები იყვნენ. ღიღი ხნობით ესენი თეატრის დამამშვენებლად ითვლებოდენ, მხოლოდ ათას-სამას ოც-და-ექვსში კარდინალ რიშელიეს უბრძანა, რომ ორივე ტრუზები ერთად შეერთებულიყო. რობერტ ბორემი მეტად კომიკურის გარეგანის შეხედულობისა იყო, საშინელი სქელი, რომელსაც ცხვრის ოდენა მუცელი წინ ჩამოკიდებული ჰქონდა და დიდრონის თანმებით თეძოებზედ აკრული. ამისთანა აგებულებას, რომ ზედ დაუმატოთ კომიკური ჩაცმულობა და გრიმ-როკვა, ერთის სიტყვით პირველსავე შეხედვაზედ კაცი სიცილს ვერ შეიმაგრებდა ისეთი მასხარა შეხედულებისა იყო და რაც უნდა დაღვრემილი კაცი ყოფილიყო, მაინც პირზედ ღიმილს მოჰგვრიდა; ამიტომაც მეტი სახელი უწოდეს, «სქელი გილომი». ბოტიე მარგილი (ნამდვილი სახელი ბიუგგერი იყო) იმოდენაც გამხდარი აგებულებისა იყო, რამდენადაც ბილომი სქელი და ჯმუხი; ბარგილი ფარსებში მოხუცებულების როლს საკურველად თამაშობდა. იმის გამოსვლა და პუბლიკის სიცილით ჩაბყირება ერთი იყო; ისე ნაბიჯს არ გადასდგამდა, რომ ხალხს არ გაეცინა. იმის ტანსაცმელს შეადგენდა მოკლე კურტკა, კომიკური ქუდი, და ხელში ღიღი კეტი, ამ კასტუმში ყველა ნაირს როლებს ასრულებდა და პირზედ მასკას იკეთებდა, როგორათაც თიურლიუგენი ანუ ლეგრანი, უკანასკნელად, როდესაც შესანიშნავის როლების თამაშობა დაიწყო ბელღევილი დაიქო; მსხვილმა ბილომამაც მაგისტრანავე შემთხვევებში ლაფლერი დაიქო; ბოტიე ბარგილმა კი შლეშელემი. ისა სწერდა სასაცილო პროლოგებსა და სპეკტაკლი ყოველთვის იმითი იწყობოდა, და ამისავე ავტორის საოხუნჯო სიმღერებით თავდებოდა წარმოდგენა. ღელორიც საოხუნჯო პროლოგებსა სწერდა ბოერგუნდის ტრუზისათვის, რომელიც მოედანზედ წარმოდ-

გენებს მართავდა ჰან-შარინოს ამხანაგობით; შემდეგ თავის მოღვაწეობა ტულუხში გადმოიტანა. დედოფალი თავის პროლოგებში პუბლიკას მეტად დაურიდებლად მართავდა.

ნიმუშად მოგვყავს იმის პროლოგიდგან რამოდენიმე სიტყვა: „რას დასეირნებთ? თუ წარმოდგენა არ მოგწონთ, საითაც გნებავთ იქით მიბრძანდით, ხელს არავენ გიჭერთ? მეც ვგ მინდა! რატომ დასასრულამდის აქ არა რჩებით, რომ ერთი ლაზათიანად შეგამკოთ და თქვენს სისულელეს დავცინო?“

იმ დროს, როდესაც ბურგუნდიის ტრუპიდან, რამოდენიმე ნიჭიერი კომიკური მსახიობნი მოემატნენ, რასაკურველია იტალიელებმა მსახიობმა მნიშვნელობა დაკარგეს, რომელნიც საფრანგეთის ამხანაგობით თამაშობდნენ. ახალგაზდა მეფემ ლიულაოვიკო მეთორმეტემ, უპირატესობა ბურგუნდიელთ მისცა, მხოლოდ იმისი დედა დედოფალი კი უფრო იტალიელებს შემწეობდა. ათას სამას ოცდაცხრაში რუანიდგან პარიჟში მოვიდა პიერ ტარნელი, რომელსაც თეატრალურს ასპარეზზედ პირველი ადგილი ეჭირა, ათას ექვსას ოცდათექვსმეტში, როდესაც პირველად გამოვიდა იმის «სიე», რომელსაც ტიპები ისპანიელი პიესე ბიდგანა ჰქონდა ამოკრეფილი.

მე XVI-ე საუკუნეში გამოჩენილმა დრამატიულმა მწერალმა ისპანია დააგვირგვინა, სრულიად თავისუფლად სწერდა და აღარავის მიბაძეა აღარ ემჩინოდა.

ლოპე დე-რუედა, საკუთარს წარმოდგენებს აძლევდა ათასხუთას ორმოცდაათნიდგან, ვიდრე ათას ხუთას სამოცდახუთს წლამდის. ისპანიისათვის ეს თეატრალური ეპოქა მეტად შესანიშნავია, როგორც ნიჭიერის მსახიობებით, აგრეთვე დრამატიული თხზულების მწერლებით. თეატრის მორთულობას და საკუთრებას შემდეგი ნივთები შეადგენდა: ერთი დიდი პარკი, რომელშიაც სამი ტყავის კუმეტკა თავსდებოდა, რომელნიც ოქროს ვარაყიანით მორთული იყენენ, ოთხი წვერი, ოთხი სხვა და სხვა ნაირი პარიკები, შეიძლება ამაზედ მეტიც იყო და ნაკლებიც. სცენა მორთული იყო ამ გვარად: ოთხი სკამიკა, რომელიც ოთხს კუთხიანს ფიცარს წარმოადგენდა, ამაზედ მიკრული იყო ოთხი ან ექვსი ფიცარი, რომელიც ცოტათი მიწაზედ ზევით მაღლდებოდა... თეატრი მორთული იყო ძველის სამოსელით, და უკანაც მუსიკანტები ისხდნენ, რომლებიც უკომპანიმენტოდ მღეროდნენ და უკრავდნენ ძველს რომანსებს. ათას ხუთას სამოცდარვაში დაიბადა დრამატიული საზოგადოება მადრიდში, რომელმაც ახალი თეატრი

ააშენა; რასაკვირველია, თეატრის აშენების შემდეგ იმათი საქმე პროგრესულად წავიდა და არც ერთს ევროპიულს ტრუპას იმასთან კონკურენციის გაკეთება არ შეეძლო. მართლაცა და ამ ტრუპას პირველი ფართო ადგილი ეჭირა, ბოლოს კი ორივენი ერთად შეკავშირდნენ.

შემოსავლიდგან რამოდენიმე ნაწილს ლარიბ მოქალაქეთ უნაწილებდნენ; ათას ხუთას სამოცდათოთხმეტი მადრიდში შილიზ მეორემ, წარმოდგენა მიაცემინა, რომელშიაც თვითონაც დაესწრო. ისპანიელმა დრამატიულმა საზოგადოებამ იტალიელებს ქვიტკირის თეატრი აუშენეს (corra); ალბერტ მარონიმ, თეატრი 10 წლით ქირით აიღო, რომელსაც ექვსი ათასი რეალი უნდა გადაეხადა; გარდა ამისა ორი წარმოდგენა უნდა მიეცა, რომლის შემოსავლით თეატრის აშენების დროს დადებული ვალი უნდა გადაეხადნა და ყოველ წლივ ათი რეალი უნდა ერიცხნათ ანტრეპრენიორისთვის. ანტრეპრენიორს უფლება არა ჰქონდა სამოცზედ ნაკლები წარმოდგენა მიეცა წელიწადში, თეატრის შენობა ბანით იყო დასურული, მხოლოდ პარტერი-კი (passio) უამინდობის დროს, უბრალოს მიტკლით იყო ჩამოფარებული, პარტერში მდებალი წოდების ხალხი სხდებოდა. ამ ცოცხალს და მყვირალა უბრალო წოდების საზოგადოებას, რომლებსაც სკამები არა ჰქონდათ, რომ დამსხდარიყვნენ, უფრო მხიარულად ატარებდნენ დროს: ბოლოს არისტოკრატიულმა საზოგადოებამ «თითბრის ფერჩატკი» უწოდა მათ. ლოპე დე მეგას დროს ბალკონი და ლოჟებიც მოუმატეს. ბალკონი, ლოჟები ერთად პარტერთან შეერთებული იყვნენ. საშინელი ყვირილი და უწყსოება ხდებოდა ხოლმე პარტერში, მხოლოდ ლოჟაში და ბალკონზედ სიჩუმე იყო, რადგანაც მეტი ნაწილი განათლებული საზოგადოება იქ იმყოფებოდა. როდესაც პარტერი უკმაყოფილო იყო მოთამაშებზედ, ბევრჯელ კიტრს და სხვა ნაირს ხილს ესროდნენ ხოლმე მსახიობთ. ბევრჯელ მომხდარა იმისთანა მაგალითი, რომ პოლიციის ჩინოვნიკს წარმოდგენა შეუყენებია იმათ დამშვიდებამდისინ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თამარ ცბიერი

(ერთი სცენა)

გამოსვლა მესამე

ისინივე და მგოსანი (შემოდის მეფე თავ-ჩადუნული საზოგადო სიჩუმეა.)

მგოსანი

აქა მშვიდობა!



მეფე

წინ წამოდექი,

იცი რად გიხმეთ?

მგოსანა

რა მოგახსენოთ?

სახლთ ხუცესა (ქუთათუქს მსა-
ჯუღთ უხუცესს)

რაც რომ სამსჯავრომ გადაუწყვიტა,
რიგი თქვენია უნდა უბრძანოთ.

მგოსანა

შეტყობილი მაქვს, საპყრობილეში
მე სირას სიტყვებს მოვკარი ყური (მწაწკ ღიმი-
ლით)

მსაჯულთ სიკვდილი გადამიწყვიტეს
და მეფემაც ზედ დართო დასტური.

მსაჯ. უხუც. ქუთ.

ღიახ, რადგანაც უმეტესობამ
ბიწრო ქვეყნის და მეფის ორ-გულადა

მგოსანა (ჯანსხსლებით)

მინც ეგ იფიქრა ჩემზედ, ეტყობა,
რომ ის ჭკუაზედ შემედარა სრულად.

მსაჯ. უხუც. ქუთ.

როგორ! არა გაქვს დანაშაული
და ხმა ერისა ცრულ ღილაღებდა,
როდესაც ის შენ შეურაცხყოფილს
სასიკვდილო ბრალს თავზე გაღებდა?

მგოსანა

თუ ისე მკითხავთ ვით სასიკვდილოდ
ბამზადებულებს მათი მოძღვარი,
მარტოობაა მაშინ საჭირო

და მოწმედ მხოლოდ თვით მაცნოვარი-
და თუ პასუხს მთხოვთ, როგორც მსაჯულთ,
ზეიანდა არის გასამართლება,

რალა ერთხელ-კი დამნაშავედ მცენეს
და მათ მეფემაც ზედ დართო ნება,

სიკვდილი მეღის გადაწყვეტილი,
ძავეშირი ჩემი საქვეყნიერო;

არვისთან რა მაქვს თავ-შესაწყენი,
სასაყვედურო ან საპირფერო.

მეფე

ძარგი, არ გკითხავ; რაც იყო, იყო,
სულ სხვა რამეზედ აქ მოგიწოდეთ:
შუკანასკნელი შენი სურვილი
შეგვატყობინე, გვინდა ვიცოდეთ.

მგოსანა

ბძანეთ.

მეფე

როდესაც ბაგრატის ტახტი

ჩვენ დავიმკვიდრეთ და ჩვენ ვიტვირთეთ,
მეფურსა ჩვენს მოვალეობას

იმისი ვალიც ზედვე დაეურთეთ.

როგორც გვიამბო დღეს ქუთათელმა

და ჩვენ თავდაც გაგვიგონია,

ბაგრატისაგან სავალდებულო

აღთქმული რამე თურმე გქონია.

ის დაპირება ჩვენზედ გადმოდის,

დღეს ჩვენ ხელთ არის იგივე უფლება,

და გვთხოვე რაც გსურს მეფური სიტყვა

მრთხელ ნათქვამი არ შეიშლება. (სიჩუქვს. მგო-
სანი ხმას ან იღებს)

მსაჯ. უხუც. ქუთათ. (მგოსანს)

რაც მოგანიჭეს, ვერ გაიგონე,

ხომ გესმის მეფე რასაც ვიბრძანებს?

(მგოსანი ხმას ან იღებს)

მასხარა

რატომ არ ითხოვეს თავისუფლებას,

ნეტავ ვიცოდე, რას აგვიანებს?

მეფე

ითხოვე რაც გსურს! ჩვენ მოვალე ვართ,
რომ შევასრულოთ ის შენი ნება.

მგოსანა (სანგრძობივი აღუდეგების
შედეგად)

მაშ ვითხოვე, მეფე, სირას ნუ დასჯი,

იმას არა აქვს დანაშაული,

მე მოვამზადე ის სალაღატო

მე აუღელევე უმანკო გული (ეგელა შეკრთება).

მსაჯ. უხუც. ქუთ. (თავისთვის)

რა სთქვა?

სახლთ ხუცესი.

რას ამბობს?

მასხარა

ბაგიჟდა სწორედ!

მეფე

ღალატი?

მგოსანა

ღიახ, მეც იქ ვერიე,

ბამოეტყვნილვარ, ვამბობ მეორედ...

მეფე

ნუ თუ შენც...

მგოსანა

ღიახ, მაგით გვინდოდა

შბრალოდ ტანჯულთ წამოყენება,
მაგრამ არ მოხდა და ჩემზედ აწ კი
აღსრულდეს შენი ძალი და ნება!

მეფე (დადისნის სიხუმას შეძღვე)

მაინც ვერ გავსტეხთ ჩვენს მეფურს სიტყვას,
თუ ითხოვ, ეგეც გეპატივება.

მგოსანო

მე მხოლოდ ვითხოვ უფლების ძალით,
შბრალოდ სირა ნუ დაისჯება.

მეფე

შენ მხოლოდ შენთვის უნდა ითხოვო,
სხვის შესახებ-კი არ შეიძლება.

მგოსანო

არა, მეფეო, უარს ვერ მეტყვიო,
მონიჭებული მაქვს ეგ უფლება

სახლთ ხუცესა

ბი, მაგრამ შენთვის ევლარას ითხოვ.

მგოსანო

მე ჩემთვის რა მაქვს აქ სათხოვარი,
შეჯობესია, რომ მოკვდეს კაცი,
მიდრე სცოცხლობდეს ვით ცოცხალ-მკვდარი.
ჰკუთით ურწმუნო და გრძობით უნდო,
ბულ გატენილი რაღა კაცია:
ბაცს მაშინ შევნი ქვეყნად არსება,
თუ ცხოვრებაში ის მამაცია.

მეფე

მითხარი მაინც, შენში რამ აღძრა
მაგ-გვარი სასო-წარკვეთილება?

მგოსანო (ხადგოანის დიმიჯით)

იმანვე, რამაც სხვებს გაუღვიძა
სხვის საბოროტო კმაყოფილება.
ჰბუკობიდან მე გულში მედგა
ერთი ანდერძი, ერთი იმედი,
ჩემი სულის დგმა და ჩემი ბედი!

(მგოსანო შესჩქრება მეფეს)

ამ ტკბილ ოცნების და წრფელ ძრახვების
მღრი სხვაც მყვანდა თანამოაზრე;
თვით ბურიელი, დიდი მთავარი
და ჯუმათელი, სჯულის სიმდიდრე.
თვალწინ მებატვის მაღალი გორა,
ზედ აგებული წმინდა ტაძარი
და იმის გვერდით თავ-მოწონებით
შტოებ-გაშლილი დიდი ჭადარი.
იქ, იმ ჭადრის ქვეშ, სამივეს ერთად
საქვეყნო ბევრი რამ გვიჩვენია
და სამშობლოზედ გულ-აჩვილებულს

სრემლებიც ერთად დაგვიფრქვევია, **მარცხენა**
ასე ვფიქრობდით: ჩვენ მივეშველოთ **ბიბლიოთეკა**
და ხელ მივაწვდენთ ძმურად ძართლ-ძახეთს
შაჰ-აბაზისგან აოხრებულსო.

მხოლოდ იმისთვის, გმირმა მთავარმა
სჯული გასტეხა და იქორწილა
და ცოლდა მისი საშვილიშვილო
თანა-მძრახველებს გაუნაწილა.

მეფე (წყებით)

ნამეტანს ამბობ, ნუ დაივიწყებ,
მოთმინებასაც რომ აქვს საზღვარი.

მსაჯ. უხუც. ქუთ. (მგოსანს)

შადგილოა და უსარგებლო
მე მოგონება და საუბარი.


მგოსანო


რალათ დავფარო, ვის მოვერიდო,
მე სასიკვდილოდ გამზადებული;
საიღუმლო ხმა მალაპარაკებს
და ეს ხმა არის ჯუმათლის სული.
ის მოკვდა თუმც-კი სული აქ ბრუნავს,
საქართველოსთვის თავ-განაწირი.
მეფე აღარ ჰგავს პირვანდელ მთავარს
და მე რაღა ვარ ამ ქვეყნად მწირი,
რომ მოკვდე მიჯობს, სასო-წარკვეთილს
თავი არ მიღირს არცა ერთ ჩალად,
ნეტავი სხვებსაც არ უყურებდე
სხვის ყურ-მოჭრილ ყმად და მანანჩალად.

(მეფე შეიჭმუნება)

წავალ მიემართავ იმ წინაპართ გუნდს,
სამშობლოს მსხვერპლად რომ შეწირულან,
და თუმც საფლავიც არ ღირსებით,
მაგრამ ჩვენს გულში-კი დამარხულან...
მეც ერთად მათთან, თუ ღირსი გავხდი,
სრემლებს გადმოყრი სამქვეყნო ძღვნად,
რომ ის სრემლები აქ დანთხეულს სისხლს,
წმინდად დაერთოს ციურ მანანად.
და აღმოსცენდეს მით საარსებო,
საზრდო რამ ჩვენის შვილის-შვილების,
რომ ისინიც-კი წმინდად მიმღები,
იმსჭვალეობდენ წინა-პრებსავეთ,
მათი სამშობლოს სადიდებელად
და ღვაწლი მათი საშვილის-შვილოდ
ბადანსცემოდეთ საგალობელად. (სიხუმეს)
მშვიდობით, მეფევ! შენ აქ დარჩები,
სამეფო ტახტზედ მონად მჯდომარე,
მე-კი მეფურად შევხვდები სიკვდილს,
დარბაზის ნაცვლად მელის სამარე!

აკატი.





ახალი ამბები

◆ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა პაკი წერეთლის ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა «თამარ ცბიერი». მართული დასიც ამზადებს ამავე დრამას და ჩქარა წარმოადგენს.

◆ ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა საყმაწვილო სურათებიანი წიგნი: პატარა ბავშვების საჩუქარი შალვას თავ-გადასავალი, ვ. ცახელიძის; ეს წიგნი გამოიცემა საშობაოდ—მლისაბედა ტატიშვილისაგან, სურათები დახატულია პეტერბურგში ი. პანოვისაგან და ხეზე ამოჭრილი ბრ. ტატიშვილისაგან. სულ 33 სურათს შეიცავს.

ნ ა რ ა მ ე ნ ი

აფორიზმები, ანექდოტები და ზნაჰტიკული ჩჩეკანი

— მოთმინება არის გალავანი ჭკუა-გონებისა ღაგამი ცუდის ფიქრებისა და სულის ძალა და საძირკველი ჩველ-მოქმედებისა.

— როგორც ჩაფუძს უფრო მალე სწავას ცუცხლი, ვიდრე სასახლეს, ისე თავ-მოყვარება უფრო ადვილად იშურობს სუსტს, ვიდრე ძლიერს.

— საიდუმლოს შენახვის საუკეთესო საშუალება მისი დაფიქრებაა.

— არიან ისეთნი ზიზნი, რომელნიც მარტოობას ვერ იტანენ; ისინი სძირად უშლიან მათ, ვინც საჭმეს ადგიან.

— თავის სიდიდეზედ ჭკუა და ზირის სიგანეზედ მკვერ-მეტყველება არ გაისინჯება.

— შრომა და სწავლა ერთმანერთის ახლო მეგობრები არიან: ვინც ზირველს არა სცნობს—მეორესაც ვერ შეიძენს.

— შრომა გაცის დანიშნულებს, უძიხოდ მას მნიშვნელობას არა აქვს, ის ვერაფერს ხელს ვერ მოჭკიდებს, ვერაფერს სისრულეში ვერ მოიყვანს; უძიხოდ ის არაა.

— ცხოვრება ახალ-გაზრდობის ოცნებაა, რომელიც სისრულეში მოხუცებას მოჭყავს.

— ქალი ემზავება სხათს, რადგან შემდეგ ოცდასუთის წლისა ის ყველაფერს უგან ჩჩება.

— მეგობრობა უფროთ სიყვარულია.

— წამალი მეცნიერების ხუმრობას ბუნებასთან.

— როდესაც ორი ქალი ერთმანერთს ესაუბრებიან,— მესამეს უთუოდ ცუდად ისწავებენ, და როდესაც ორი კაცი მუსაიფობენ—ერთმანერთს აჭებენ.

— ვიღაც ამერიკელი სოფელის სახლის წინ, დერეფანში ქვასად ამოჭრილი თურმე იყო სიტყვა „სიმატლელ“; ერთმა ვიღაცამ, რომელსაც ის იყო სასამართლოში მართალი საქმე წავიდა, გაიარა, შეამჩნია ქვასად ეს წარწერა, დიდის მოწიწებით მოიხადა ქუდა და სთქვა: „მე დიდი ხანია გავიგე, რომ სიმატლელ მოკვდა, მაგრამ დღემდის ის კი არ ვიციდი, სად იყო ის დასაფლავებული.“

— მითხარით, თუ დემონი გწამსთ, რა გაჩუქათ

მე თქვენ ჩემდა სასსოვრად?—ჭკითს, **სახელოვანი** დანიშნულს.

— თქვენ გინდათ, რომ იმ სახუქრის შესედაზედ ყოველთვის მოგიგონოთ—მიუგო დანიშნულმა— მაინუნი მახუქეთ!

- ქალს მის წლოვანებაზედ ნურასოდეს ნუ ჭკითსავ.
- ზოლიციელთან ხუმრობას თავი დაანუბე.
- ქვიც ქალთან ნარდს ნუ ითამაშებ.
- იყავ ლაქუნა და ზრდილი მდიდარ ნათესავებთან.
- როდესაც სადმე წვეულებად, ან კრებაზედ მიდიხარ—რომელიც უფრო ძველი ქუდი გქონდეს, ის წაიღე.
- სადილზედ მასწინძელს ნუ მოშორდება.
- ნდობას ნუ დაჭკრავ.
- რასაც ვერ შესძლებ—ნუ იკისრებ.
- შინაურობას მშვიდობიანად გამოძრი.
- სხვის მწუსარებას სასაცილოდ ნუ გახდი.
- შენს თავს გამოძრი ნუ მოიხსენიებ.
- ზრდილობიან კითხვასზედ ზრდილობიანი პასუხი მიეცი.

— თუ ვისმეს რამე აჩუქო, ან სამსახური გაუწიო, საიდუმლოდ შეინახე.

— ურიგო საზოგადოებასთან დახლოებას მარტოობას აჩნე.

— თუ ვინმემ თავის საიდუმლო განდოს, ნუ გაცემ, თუ გინდ შემდეგში იმ ზიზთან ნახსებად შეიქმნე.

— როდესაც გაჯავრდები—მოიგონე ამ გაჯავრების შედეგი.

— ეცადე ქალის კლანჭებში არ ჩავარდე.

მართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 დეკემბერს.

ბ ე ნ ე ტ ი ს ი

ბ. მ. მინაროვისა

მართული დრამატიული დასისაგან წარმოადგენილი იქნება:

I

მ ფ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა

ორიგინალური კომედია 3 მოქ. ონზ. ზ. ანტონოვისა.

II

ბ ა ი ყ უ ზ ი

კომედია ჭარსი 2 მოქმედ., ა. სავარლის.

დასასრულ

ლ ე კ ე რ ი

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.



ბიბლიოთეკის
სამსახური

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ბ ი

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1886 ГОДЪ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ АРМЯНСКІИ ЖУРНАЛЬ

„АГБЮРЪ“

(4-Й ГОДЪ ИЗДАНИЯ)
(въ годъ 12 номеровъ)

ПРОГРАММА

Отдѣль 1-й

- I Повѣсти, рассказы, сказки, путешеств., біографіи, поэмы, эпизоды.
- II Сихотворенія.
- III Наука и искусство.
- IV Смѣсь.
- V Мелочи.
- VI Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загатки, поговорки, пословицы.
- VII Пѣсни съ нотами.

Отдѣль 2-й

- VIII Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей
- IX Прозѣты и совѣты.
- X Библиографія.
- XI Смѣсь
- XII Отвѣты и объявленія

Второй отдѣль будетъ издаваться отдѣльно въ годъ, четыре раза; годовые подписчики получаютъ двѣ преміи: въ іюль и въ декабрѣ; а подписавшіеся до 1-го декабря съ январскимъ номеромъ получаютъ третью бесплатную премію

Первая премія: Совѣщательная палата въ столицѣ Ани при царяхъ Армянскихъ изъ династіи Багратуни. Размѣръ картины одинъ аршинъ. Вторая премія: Карта Арменіи. Третья премія: „Храма Пастуха“ въ столицѣ Ани. Размѣръ картины полтара аршина

Годовая цѣна „АГБЮРА“ 3 рубля, за полгода 2 руб., отдѣльные номера 50 коп.

Адресъ: Тифлисъ, Редакція „АГБЮРЪ“ а изъ заграницы. Tiflis (Caucase) Rédaction du journal „Agbur“

Редакторъ-издатель Г. Я. Казаріанъ.

Открыта Подписка
НА 1886 ГОДЪ

На армянскую ежедневную политико-литературную газету

„НОРЪ-ДАРЪ“

III-й ГОДЪ ИЗДАНИЯ

Газета 1886 году будетъ выходить по пре-

ბეჭდებს და ჩქარა გამოვა

თ. ხ. - მოქმედებისა ისტორიული დრამა

თხზ. თ. აკ. წერეთლისა

თეატრის ცხიერია

რადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდევე ხელის-მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ათი მსურია

ს ტ ა მ ბ ა

მელიქიშვილისა.

თფილსში — სასახლის ქუჩ., ანწრუხასეულ ქარვასლანში, ქართული თეატრის ქვემო სართულში.

იღებს უოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბეჭდავთ: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე უოველ-გვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობებს და სსვ.

სასუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა ვისრულობს კორექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ წაკაზის მომცემნი ისურვებენ.

жней программѣ. Подписная цѣна съ доставкою и пересылкою: на годъ 10 р., на 6 мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 к., на 1 мѣсяць 1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на вѣсѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскій) принимаются исключительно въ конторѣ редакціи „НОРЪ-ДАРЪ“

Редакція „НОРЪ-ДАРЪ“ помѣщается за почтою на Троицкой улицѣ, противъ Троицкой церкви, д. № 9.

Иногородные адресуются: Тифлисъ, въ редакцію „НОРЪ-ДАРЪ“.

Редакторъ-Издатель С Спандарьянъ (3—1)

„ՄԸՆԿ“

ԳՐԱԿԱՆՍԱԿԱՆ ԵՒ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԼՐԱԳԻՐ

ԱՐԱՋԻԿԱՅ 1886 ԹԻԻՑ

Կը հրատարակի թիֆլիսոյ մ'նոյն պրոգրամայով. „ՄՇԱԿԻ“ տարեկան դինը 10 ռուբլ է, վեց ամսականը 6 ռուբլ

Գրիել „ՄՇԱԿԻՆ“ կարելի է ԽՄԲԱ-ԳՐԱՏԱՆԸ եւ Պ. ՇԱՎԵՐԴՅԱՆԻ պալիլիոնում: Խմբագրատունը գտնվում է Բարոնակի եւ Բազարնի փողոցի անկիւնում, Թամամշեկի տանը, № 12 բնակարանում: Ուղղակի մուտքը Բազարնի փողոցից:

Խմբագրատունը բաց է ԱՄԵՆ ՕՐ առաւօտեան 10—2 ժամ, իսկ ԿԻՐԱԿԻ օրերը 10—12 ժամ:

Կայսերութեան ուրիշ քաղաքներից գիմուկներ այս հասցեով, Ե՛ւ Թիֆլիս. Բեդակցի „ՄՍԻԱԿՆ“:

Խմբագիր հրատարակող ԳՐԻԳՈՐ ԱՐԾՐՈՒՆԻ

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
КАВКАЗЪ

на 1886 годъ (41-й годъ изданія)

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА
съ доставкою въ Тифлисъ. СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ

	по Имперіи		по почтовому союзу	
На годъ . . .	11 р. 50 к.	13 р.	18 р. 40 к.	
„ полугодъ. 6 р. — „		7 р.	10 р. — „	
„ 3 мѣсяца. 3 р. 50 „		4 р.	6 р. — „	
„ 1 мѣсяць. р. 50 к.		2 р.	1 р. — „	

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголь Головинскаго проспекта и Барятинской улицы. Домъ Ротина. Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“.

ՆԵՆՈՒ ՊՈՑԵՆ

ՄԱԼՄԱՅԻՆ ԲԱՆԿՈՒԼՄԱՅԻՆ

ՅՐԵՄԻԱՅԻՆ ԹԱՏԱՏԱՅԻՆ

տարգմենլու յգ. ք—սնևսզան.
ՅԱՆԻ ԱՊԻ ՅԱՅՆԻ

սյուլմայն ժը. Բանկոյանս Բոցնևս մալմայն.